№ 53 11 მაისი, კვირა 1866—1875 11 მაისი, კვირა № 53

რედაქცია

მოლინის (აბას-აბადის) მაედანზე, ყორღანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ინგლისურს და ფრან-ცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ხელის-მოწერა ამ წლის

## „დროებაზე"

ახლაც შეიძლება. ახალი ხელის-მომწერლები, თუ ისურვებენ, თავიდამ მიიღებენ ყველა ამ წლის ნომრებს, რაც გამოსულა; შეიძლება აგრეთვე რომელიმე თვიდამ დაიბარონ გაზეთი.

დაწვრილებითი პირობები გაზეთის სათაურშია.

## საქართველო

### ოქროს მადანი

გაზეთის „კავკაზის" № 51-ში დაბეჭდილია კავკასიის მთიული სამმართველოს განცხადება, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვებია მოყვანილი ინჟინერის თ. წულუკიძის მოხსენებიდგან:

„გასული აპრილის 20-ს მე უფ. ჰენრიხისა და ამხ. დამბლედის ქარხანა და იმის გარშემო ადგილები დავხედე. ჩემი ყურადღება განსაკუთრებით ერთმა ისეთმა მადნეულმა (კვარცმა) მიიქცია, რომელსაც მუდამ თან ახლავს ხოლმე ოქროს მადანიც (ოქროს ქვიშა). გამოკვლევისათვის მდინარე დამბლუდის ხეობა ამოვარჩიე, ქარხნის მახლობლათ. ათ ფუთამდი კვარცის მადნის ქვიშა გავრეცხეთ და საშუალი რიცხვით გამოვიდა, რომ ასს ფუთში აქ $^3/_4$-დამ $1\,^1/_4$ მისხლამდი ოქრო უნდა იყოს.

„მოვახსენებ რა მთიულ სამმართველოს ამ აღმოჩენაზე, რომელიც საკუთრივ მე მეკუთვნის, მხედველობაში ის გარემოებაც მაქვს, რომ ის ადგილებიც, რომელიც დამბლუდის ქარხანას სამზღვრავენ, სწორეთ ამ გვარისავე გეოლოგიურის თვისებისანი არიან და მაშასადამე საფიქრებელია, რომ ოქროს მადანი აქაც მოიპოება."

ამასთანავე მთიული სამმართველო ურჩევს იმ ადგილის პატრონებს, სადაც ეს ოქროს მადანი გამოჩენილა, რომ ამ გარემოებას მიაქციონ ყურადღება, თავის ხარჯით უფრო თადარიგიანი გამოკვლევა მოახდინონ და თუ მართლა ამოჩნდება, რომ იმდენი ოქროა, რომ ღირს შესამუშავებლად, ხელი მოჰკიდონ. მარტო ინჟინერის თ. წულუკიძის გამოკვლევაზე დარწმუნება არ შეიძლებაო.

აჰა, ეს-ღა გვაკლდა! მაგრამ არა, დიდი ხანია ისმოდა, რომ კავკასიაში ოქრო არისო. ვის არ გაუგონია ჩვენში, რომ ცხენის-წყლისა და ენგურის ხეობაში ოქრო მოიძებნებაო!

ჰე, მადლობა ღმერთს! მადნები და სხვა ყოველ გვარი სიმდიდრე ბუნებისაგან საკმაოთა გვაქვს მონიჭებული; მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ჩვენ იმათი მოხმარება არ ვიცით, გამოყენება ვერ მოგვიხერხებია.

წინათვე ვიცით, და დიდის მწუხარებით ვაღიარებთ ამას, რომ ეს ოქროს მადანი, როგორც სხვა ყოველივე ამგვარი დამალული და გამოჩენილი სიმდიდრე ერთ დროს სულ უცხო ქვეყნელებს ჩაუვარდებათ ხელში, რადგან თვითონ ჩვენ მუდამ ვძინავს და ჩვენი თავის სარგებლობა ვერ გაგვიგია...

ს. მესხი

## დღიური

□ ვლადიკავკაზიდამ როსტოვამდი რკინის გზის გათავება და გახსნა კიდევ გადაუდვიათ: ამ ორი კვირის წინათ „თერგის უწყებებში" სწერდნენ, რომ ეს გზა 2 ივლისისთვის სრულებით მზათ იქნებაო და ზედ მოგზაურება დაიწყებაო. ახლა კი ამავე გაზეთის სიტყვით, როსტოვ-ვლადიკავკაზის რკინის გზა ამ წლის აგვისტომდი ვერ გაიხსნება.

□ ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმ უკმაყოფილების გამო, რომელიც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორსა და ზედამხედველს შუა მოხდა და საზოგადოთ ამ სასწავლებლის საქმეების განსახილველად, ამ ჟამად ქუთაისში თფილისიდამ გაგზავნილი რევიზორი არისო.

□ იმერეთიდამ გვწერენ, რომ ამას წინათ ლანირის საზოგადოების სასოფლო კანცელარია გასტეხეს და რაც ამ კანცელარიაში ჟურნალები იყო, რომელშიაც ყველა სოფლის სასამართლოს გადაწყვეტილება იწერებაო, სულ ერთიანათ მოიპარესო. ამ საქმის გამოძიება ხონის გამომძიებელს აქვს მინდობილიო. ამ ახირებულ ქურდობას, კორრესპონდენტის სიტყვით, პატარა-ჯიხაიშის ერთს მცხოვრებელს აბრალებენ, რომელიც ზემოხსენებული ჟურნალების გაქარ-წყლებაში პირ-და-პირ თავის სარგებლობას ხედავდაო.

□ იმერეთის ერთის კერძო ნოტარიუსის მოქმედების თაობაზე უ. გ—ი თ—ძე შემდეგ ამბებს გვწერს:

„მე მოვედი ქალაქში ნასყიდობის სიგელის (აქტის) შესადგენათ. რადგან ამგვარი საქმეები ცოტაოდენი მეც მესმოდა, ამის გამო ყველა ქაღალდის გაკეთება შემეძლო. მაგრამ უფ. ნოტარიუსმა ამის ნება არ მომცა და სანამ ყველაფრის შესადგენათ ფული არ გამომართვა, მანამ არ გამისტუმრა. მოწმებათ სამი პატიოსანი კაცი მივიყვანე, რომელთაც უფ. ნოტარიუსი კარგათ იცნობდა. მაგრამ უ. ნოტარიუსმა არ მიიღო იმათი მოწმობა, ვიღაც სამი კაცი წარმომიდგინა და მითხრა: „აი, თქვენი მოწმები ესენი იქნებიანო!" მეც იძულებული ვიყავ დავთანხმებოდი. ამ მოწმებისათვის, თითო კაცზე, თითო მანეთი გადამახდა. ამას გარდა წიგნში ჩასაწერიც მომეტებული გადამახდევინა 2 მან. და 20 კაპ., და ზოგი სხვაც."

□ ოზურგეთიდამ გვწერენ, რომ უკანასკნელ დროს გურიაში ქურდობისა და ავაზაკობის გახშირების უმთავრესი მიზეზი ის არისო, რომ ოსმალოს სამზღვრიდამ ბევრი ავაზაკები მოდიან ერთ აქაურ კაცთანაო, ვითომ სტუმრათა, და ისინი ცუდკაცობენო.

□ ქურდობასა და ავაზაკობას გარდა, ამ ჟამად მატყუარობაც ძალიან

## ფელეტონი

### ხმა პროვინციიდამ

ძნელი არის, ჩემო ბატონო, ზამთრობით პროვინციაში ცხოვრება და მომეტებულად იმ გვარ პროვინციაში, როგორიც არის ჩვენი! მივარდნილი და მიკუნჭული კავკასიის მთის ტოტებ შუა ეს არე-მარე ზამთარში უფრო აოხრებულს სასაფლაოს მიემსგავსება, სინამ ცოცხალი არსების სადგომსა.

შინ გეთხრებათ ბოლისაგან თვალები; შავად გაჭვარტლული კედლებისა და ჭერების მარადის ცქერით გიწუხდებათ გული. გამოდიხართ გარეთ და თქვენ წინ იშლება სწორეთ განხორციელებული საცოდაობა. ირგვლივ სუფევს რაღაც გონების და სულის ალმაშფოთებელი სისაწყლე; დაურღვეველი სიჩუმით მოცულია მთლად არე-მარე. ასე გაშინჯეთ მარად მშფოთვარე დამჩქეფარე პატარა ლიახვიც კი გაჩუმებული მიძვრება თავის ლურჯათ გასიებულ ყინულებ ქვეშა.

ხალხისა რაღა მოგახსენოთ! მისი ცხოვრება, მართალია, არც კი ზაფხულში დუღს და ჰყვავის, მაგრამ რაც უნდა იყვეს ზაფხულში მას სიცოცხლე და მოძრაობა ეტყობა; სხვა არა იყვეს რა, ზაფხულის ცხოველი და გაჩაღებული ბუნება ცოტათი მაინც არის თავის ფერსა სდებს ხალხის ცხოვრებასაც; მაშინ ბუნება თვითონ იწვევს ხალხს გარეთ: მინდვრები იფინება ხალხით, ზამთრის მკვდარი სიჩუმე ირღვევა ადამიანის ხმაურობით... ხალხი ხარობს, მოძრაობს და იმღერის!

×

მართალია, ამ სიხარულს სხვა რაღაც ფერი ურევია: ეს არ არის გაცქრიალებული გულის ცემა! მართალია, არც მის მოძრაობას ადევს თავისი საკუთარი ფერი: ეს როგორღაც უხალისოთ და უსიცოცხლოთ სრულდება.. ისიც მართალია, რომ მის სიმღერა არ არის გახარებული გულის გამომეტყველობა: ის უფრო სევდით სავსე გულის კვნესასა ჰგავს...

ეს ყველა მართალია, მაგრამ რაც უნდა იყვეს, აქ მაინც სიცოცხლე სჩანს. რაღა უყოთ რომ ჰკვნესის! რა ჰქმნას მან განათლებას მოკლებულმა დაძველთვე ათასის მტრისგან დაჩაგრულმა და დაცემულმა, რომ კვნესით მაინც არს არ გაისუბუქოს სევდით სავსე გული?! რომ მითი მაინც არის არ გაქარწყლოს თვისი დარდები!! რა ჰქნას მან, თუ კი ამაზედ მეტი თავისის გონებით და ძალით სხვა საშუალება ვერა უპოვნია რა?!...

×

და უბედურება ის არის, რომ რამდენიც დრო გადის, იმდენათ უფრო და უფრო ეკარგება მას ამ საშუალების პოვნის იმედი! ის ნელ-ნელა ეცემა; ესუსტდება ზნეობა და ხასიათი; უქრება თავის ძალის და პიროვნების ცნობა, მათი პატივის-ცემა; ის თითქმის ეხლავე გადაჩვეულია თავის თავზედ ზრუნვას...

ამ გვარად დაცემული ხალხი ხედავს თავის მდგომარეობას... ხედავს თავის ყვითლად მღელვარე ყანებს და მოსხმულ ხილ-ვენახს!. ეს დანახვა პირველად ახარებს მას, მაგრამ მაშინვე აგონდებიან მას ის კაცთა-მმუსრავი ბაღლინჯოები, რომელნიც ასხედან მის ტანს. აგონდება ეს და მის სიხარული იცვლება სევდათ.

აი, ამისათვის, რა საკვირველია, რომ გლეხის სიხარული არ იყვეს ნამდვილი სიხარული, რომ მის მოძრაობას არა ჰქონდეს არა ვითარი ხალისი, რომ მისი სიმღერა იყვეს სევდით და დარდით აღვსებული?!

×

ეს ყველა ზამთარში; მაგრამ ზაფ-

გახშირდაო, შორაპნიდამ გვწერენ. ამას წინათ ერთმა აქაურმა მემამულემ ვაჭარს თავის მამული მიჰყიდაო და კანონიერად ჩააბარაო. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდაო, რომ ეს მამული გლეხების სანადელო მამული იყოვო! გლეხები მისულან მომრიგებელ შუამავალთან და უჩივლიათ. შუამავალს უთქვამს: „როგორც ამდენი ხანი სარგებლობდით ამ მამულით, შემდეგშიაც ისე ისარგებლეთო". ვაჭარი დასდევს თურმე ახლა მამულის გამომყიდველს, მაგრამ აბა, რას ამოიგებსო!—ასე იწერება კორესპონდენტი.

## „დროების" კორრესპონდენცია

—

კახეთიდამ, 3 მაისს

წარსულს აპრილის თვეში ერთს „დროების" ნომერში წავიკითხე, ერთი მგზავრი სწერს კახეთის დასტყვასა.

„ობლის კვერი ცხვა, ცხვა და არ გამოცხვაო", ნათქვამია. ვაი შენი ბრალი, მშვენიერო და ბუნებით მდიდარო კახეთო!

ვერ გამოცხვა, კახელებო, თქვენი ბედის კვერი, ჯერ გარეშე მტრების ბრძოლისაგან მოსვენება არა გქონდათ, ვერასფერს საფუძვლიანათ, სახლის და მამულის მეურნეობას ხელი ვერ მოჰკიდეთ. კაცი და ქალი თოფ-იარაღის ფიქრში იყავით, იმათგან მოისვენეთ, ძლივს მოჰკიდეთ ხელი მამულების გაუმჯობესობას. როდესაც მოსვენებით ამოისუნთქეთ, სთქვით: მტერი მოვიშორეთო!

მაგრამ დაიწყო ვენახების წახდენა ნაცრით და ჯერაც კიდევ თითქმის ანახევრებს; ამაზედ მოჰყვა კალია და აგერ ოთხი წელიწადია, ზოგან სულ შესჭამა ახლად გამოსახულს ყვავილში ყურძენი და ზოგან ნახევარი და მესამედი აღარ გადარჩათ. მიწის მოსავალი ხომ ძირიანათ ამოსჭამა, ალაგ-ალაგ წარსულს წელს საშინელმა გოლვამა თითქმის დაგვამშიათ. წარსულს ორს წელსაც ხომ პირუტყვი საქონელი რქიანი თითქმის ოთხიდგან ერთი არ დაგრჩომიათ ჭირისაგან.

მაგრამ, ქება თქვენს თავის-მოყვარეობას, რომ ცოლშვილით არ გადასცვივენიხართ და კარის—კარს არ გიწანწალნიათ ლუკმისათვის.

ახლა კიდევ აპრილის სეტყვა, არ-საკვირველია, შეგაწუხებდათ. მარამ სადაც რამდენიმე წელიწადი სისხლით ბრძოლას გაუძლიით, სადაც რამდენიმე წელიწადი მოუსავლობას გაუძლიით, ეხლაც იყავით გულ-მაგრა. ღმერთი ხელს არ აიღებს თქვენზედ.

თუ უკაცრაოთ არ ვიქნები, ესეც კი უნდა გითხრათ, რაც უნდა თავში ურახუნოს თქვენს ვენახებს და ნახნავებს სეტყვამა, კალიამ, გოლვამ და სხვა მოვლინებულმა უბედურებამ, მაინც კიდევ თქვენი გამოსაკვები მოგივათ და თუ გასყიდვისათვის გინდათ, რომ ბევრი მოგივიდეთ, ტყუილათ რათ გინდათ შეჰსწუხდეთ: რაც უნდა ბევრი მოგივიდეს უხაროდეს თქვენში თითო-ოროლა ფულიან კაცებს. მანეთიანს შენიდგან შაურათ წაიღებს. გარეშე მოვაჭრე შენამდის ვერ მოსულა, რომ ზომიერი ფასი მოგცეს, გზა არა აქვს. ესეც ღმერთმა გარდაუხადოს კეთილათ, ვინც თავს გამოიდვა და თქვენის შრომით თელავის უეზდში გზები და ხიდი გააკეთა; მაგრამ მანამ თელავის სამზღვრამდის მოვა, თავი და ბედი უნდა იწყევლოს, და რომელი ოხერი ვაჭარი მოვა შენთან, და შენ უფრო ამ უგზოობის მიზეზით, აბა, რას გაიძვრი, და იკვეხონ მართლ-იმერეთმა, დააქროლებენ თავიანთ ნაჭირნახულევს, და თქვენ საცოდავებთ ურმის გზაც არ გაბედიათ.

ესეც უმეტესი თქვენი უბედურებაა, რომ კაცი არა გყავთ, საზოგადო კეთილ-დღეობისათვის ხმა ამოიღოს. კაცნი კი არიან, მარამ თავიანთი საკუთარის ინტერესისათვის. თქვენ რა?....

Z

# რუსეთი

ხელმწიფე იმპერატორი აპრილის 26-ს პეტერბურღიდამ გაბრძანებულა და 28-ს მიბრძანებულა ბერლინში. გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი, თავის სახლობით, რკინის გზის სტანციაზე დახვედრია. გერმანიული გაზეთები ძალიან გახარებულნი არიან ჩვენი იმპერატორის გერმანიაში ყოფნით; ისინი ამბობენ, რომ ეს ორი იმპერატორი კიდევ უფრო დაკავშირდებიან ერთმანეთის მეგობრობითაო და ეცდებიან, რომ ევროპაში ხანგრძლივი მშვიდობიანობა არ მოისპოსო.

ზოგიერთ პეტერბურღის გაზეთებს გაუგონიათ, ვითომც ახალმა გენერალ-გუბერნატორმა დასავლეთის ციმბირისამ, გენ.-ადიუტ. კაზნაკოვმა, რომელიც ამ მაისის დამდეგს უნდა წასულიყო ციმბირში, მთავრობის გადაწყვეტილება უნდა ახაროს ციმბირსაო, რომლის ძალითაც იქ მოკლე ხანში უნივერსიტეტი გაიხსნებაო. უნივერსიტეტის გახსნაზე ციმბირში დიდი ხანია მოლაპარაკება იყოვო, მაგრამ რადგანაც ფულები არ მოიძებნებოდა ხაზინაში, ამის გამო ეს ჰაზრი სისრულეში ვერ მოეყვანათო; ახლა უფ. დემიდოვმა ამ საქმისთვის 150,000 მანეთი შესწირაო და ამნაირად უნივერსიტეტის დაარსება შესაძლო იქნებაო.

ერთი ფინლანდიელი გაზეთი გვაცნობებს, რომ მიტავის გუბერნიაში ახალი წესდება გამოვიდაო, რომლის ძალითაც იქაურ სასოფლო შკოლებში ვალდებულებით სწავლა უნდა იქნესო, ესე იგი, ყოველი დედ-მამა ვალდებული იქნებაო, რომ თავიანთი შვილები შკოლებში გაგზავნონ ან თვითონ ასწავლონ შინ წერა-კითხვა მაინცაო.

„სასარგებლო წიგნების გამავრცელებელ საზოგადოებას", რომელიც კაი ხანია მოსკოვში არსებობს, გადაუწყვეტია, რომ ამ მოკლე დროებაში სადამოს უფასო შკოლები გავხსნათო. ამ შკოლებში როგორც დიდებს, აგრეთვე პატარაებს, ქალებსა და ვაჟებს შეუძლიანთ იარონ და წერა-კითხვა და ანგარიში ასწავლონ.

„მართებლობის მოამბეში" დაბეჭდილის ცნობებიდამ ეტყობულობთ, რომ მარტის თვის განმავალობაში რუსეთის 72 გუბერნიაში 1,847-ჯერ გაჩენილა ცეცხლი და 2,027,136 მანეთის ზიანი მიუცია ხალხისათვის. ამ რიცხვიდამ 623-ჯერ ცეცხლი გაუფრთხილებლობისაგან გაჩენილა, 168 ძალათ წაკიდებისაგან და 1,056 გამოუკვლეველი მიზეზისაგან. ყველაზე უფრო მომეტებული ზიანი მისცემია ხერსონის, ხარკოვისა და მოსკოვის გუბერნიას.

ოდესიდამ იწერებიან, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენს ქალაქში ერთობ გახშირდა ჭლექიანების სიკვდილიო. გაზეთის „ოდესის მოამბის" სიტყვით, ოდესის ერთს უბანში 28 ჭლექიანი ავათმყოფი იყო და ამათში ორი კვირის განმავალობაში 8 მომკვდარა.

პენზენის ქალაქის ერთს მდიდარ ვაჭარს სააღდგომო საჩუქრად იქაური უეზდის სასწავლებლისთვის 500 მანეთი გაუგზავნია, 1000 მან. საქალებო გიმნაზიის სახელოსნო განყოფილებისათვის და 1000 ღარიბი ყმაწვილების თავშესაფარ სახლისათვის.

# უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. სანამ ვერსალის ნაციონალური კრების სხდომები გაიხსნებოდეს, მანამ ისევ იმ ომიანო-

---

ხნულს რა უშავს! ეს თაფლია ზამთრის შედარებით!

წარმოიდგინეთ, რომ ამ წლევანდელ ხანგძლივ ყინვასა და სიცივეში მომეტებულ გლეხს არა ჰქონდა შეშა. მისი ტანთსაცმელი, ხომ იცით, რაც არის! ერთმა თხელმა ყაისინის ჩოხამ უნდა დაიფაროს მისი ტანი ზამთრის სიცივიდამ. მისი სახლი და სახლის მოწყობილობა ხომ მოგეხსენებათ! ჩათხრილი, ნოტიო მიწა, რომელიც სახლიც არის, ბოსელიცა, სათონეცა და საქათმეცა. რასაკვირველია, არიან იმისთანა გლეხებიც, რომელთაც ყველა ეს ცალ-ცალკე აქვთ, რომელთაც ზამთარში ნაბადი, ტყავი აცვიათ; მაგრამ ამათ ჩვენში შეძლებულ გლეხებს ეძახიან და ამგვარნი ცოტანი არიან გლეხობაში. უფრო იმისთანეებით არის სავსე ჩვენი სოფლები, რომელნიც შიმშილ-სიცივეს და ათას სხვა შევიწროებას ჩვეულებრივ მოვლინებათა რაცხვენ.

ამ საძაგელი და უმსგავსი მდგომარეობისა გამო, თითქმის ყოველი ავათმყოფობა—გადამდები თუ გადაუდებარი—პირველად ამ საცოდავების ქოხმახებში ჩნდებიან და, რასაკვირველია, ყველაზედ უფრო დიდს ზიანს აძლევენ ამათავე. ზაფხულში კიდევ ბევრ ვერაფერს შერება—გინდა გადამდები ავათმყოფობაც,—მაგრამ ზამთარში კი, სწორე მოგახსენოთ, თუ გაჩნდა რამე ამგვარი, ისე არ გაჩნდება, რომ ამ ჩვენი ორიოდ-სამი პაწაწკინა სოფლებიდამ ოცი და ოცდა-ათი სული მაინც არ გამოაკლდეს ქვეყანას. ×

შარშან ზამთარ რაღაც ავათმყოფობამ სულ ვაჟკაცობა და მოხუცებულობა გაალაგა; წლეულ ზამთარ წითელამ გამუსრა ბავშვობა. შარშან ზამთარ ჭირმა გაანახევრა საქონელი; წლეულ გაჩნდა საიდღამაც ცოფი და თუ შარშანდელ ჭირზედ მეტი არა, ნაკლები მსხვერპლი არ ინაცვალა საქონლობაში. ამნაირად, სხვა შემავიწროებელ და დამჩაგვრელ გარემოებათ თითქმის ყოველ წლივ ერთვის ეს უბრალო ავათმყოფობებიც და უკანასკნელად ეხშობა სული ჩვენ ხალხსა!..

×

ამგვარ შევიწროებულ მდგომარეობაშია დღეს ჩვენი გლეხი... და ვინა ჰყავს მას შემწყალებელი, ანუ ნუგეშის მცემელი?! — არავინ, არავინ, სრულიად არავინ. ვისაც ცოტაოდენათ გული შესტკივა ხალხზედ, ის განშორებულია მისგან, არ იცის ხეირიანად მისი უმთავრესი საჭიროებანი და ვერ იცნობს მას!..

წარმოიდგინეთ ახლა თქვენ—რა ნუგეში უნდა ჰქონდეს ხალხსა!.... წინააღმდეგ ამისა ყველგან და ჩვენშიაც, ყოველთვის და ეხლაც ცხადათა ვხედავთ იმ უთანხმოებას, რომელიც არსებობს ხალხში!

ეს ორი სამი დღეა, რაც ერთი ქალაქის ბიჭი ბორის ახლო ვილაც სამ კაცს გაეცარცვათ: წაერთმიათ ფული, ტანთ-საცმელი, საგძალი და პერანგის ამარა გამოეგდოთ ზემოთკენ. ცოტა რომ გამოევლო, ისევ მიბრუნებულიყო ეს ბიჭი და ეთქვა მცარცველებისათვის: „ღმერთმა შეგარგოთ ჩემი ჩოხა, ჩემი ღვინო და თევზი; მაგრამ ერთი ერთად მაინც გავტეხოთ პური, შენდობა უთხრათ ჩვენ გარდაცვალებულებს და მერმე მე ჩემ გზაზე წავალ, თქვენ თქვენ გზაზედ წადით!" — „წადი, წადი შე მაწანწალა შენა — შეუტიეს თურმე ამაზედ მცარცველებმა—შენ ვილაცა ქალაქის კინტუა ხარ და შენთან პურის ჭამას განა ვიკადრებთ". ოხ! მცარცველებო, მცარცველებო!...თქვენგან გაცარცულთ აღარც კი ჰკადრულობთ! კიდეც გეჯავრებათ და გეზიზღებათ ისინი? მაგრამ რაც უნდა იყოს, ისევ ზოგიერთ შემთხვევაში სასულიერო პირნი უფრო იჩენენ

ბის მოლოდინზე ლაპარაკობენ, რომელზედაც ამდენი აყალ-მაყალი ასტეხა ერთს ინგლისურს გაზეთში დაბეჭდილმა პარიჟის კორრესპონდენციამ. საფრანგეთის ოფიციალურს გაზეთებში კატეგორიულად აცხადებენ ახლა, რომ ჩვენს მმართებლობას და ყველა სახელმწიფოებს შორის ისეთი დამოკიდებულება და განწყობილება ჰსუფევსო, რომ ომის ატეხისათვის არავითარი მიზეზის მოძებნა არ შეიძლებაო. აქედამ სჩანსო, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს იმ ხმებს, რომელსაც ზოგიერთები ავრცელებენ, ვითომც ჩვენ ჯარისათვის სურსათს და ცხენებს ვყიდულობდეთ და საზოგადოთ საომრად ვემზადებოდეთო.

ახლა აღმოჩნდა, რომ ამ ხმების დაყრა მხოლოთ ზოგიერთ სპეკულიატორებისა და ბანკირების ბრალი ყოფილა; იმათი სარგებლობა თხოულობდა, რომ ხალხი დაეფთხო დროებით. მაგრამ, როგორც ესვე გაზეთები გვაცნობებენ, ხალხი მალე მიმხვდარა ამათ ოინს და ახლა ვაჭრობა და საზოგადოთ აღებ-მიცემის საქმე საფრანგეთში ძალიან კარგათ მიდის, რადგანამ მოკლე ხანში მშვიდობიანობის მოსპობის აღარ არ ეშინიანთო.

**გერმანია.** ნემეცურს გაზეთებში იწერებიან, რომ ამ მოკლე ხანში კიდევ აღმოუჩენიათ შეთქმულობა თ. ბისმარკის და სახალხო განათლების მინისტრის — ფალკის — მოსაკლავათ. ამბობენ, რომ ამ შეთქმულობის მოთავენი ფრანგების მღვდლები არიან (რომელთაც ასე სძულთ ბისმარკიო). იმათ ვიღაც სამი კაცი მოუსყიდნიათ, რომელთაც ეს ორი, იმათის ჰაზრით, კათოლიკე ეკკლესიის დამამცირებელი და შემავიწროებელი, კაცი უნდა მოეკლათ. მაგრამ პოლიციას დროზე შეუნიშნავს ეს კაცები და კიდეც დაუტუსაღებია.

**იტალია.** რომიდამ ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ რომის პაპა ამ უკანასკნელ დღეებში იმდენათ ავათ არისო, რომ გარეთ გამოსვლას ვერ ბედავსო და ექიმები მოიხმოვო.

**ინგლისი.** უცხო ქვეყნების საქმეების მინისტრის ამხანაგმა, ერთი დეპუტატის კითხვაზე, წარმოსთქვა 11 მაისს პარლამენტში, რომ დღეს დილით მთავრობამ დამამშვიდებელი ამბები მიიღოო; არავითარი ისეთი მიზეზი აღარ მოიპოებაო, რომ ევროპაში მშვიდობიანობა მოისპოს და ბრძოლა ატყდესო.

**ავსტრო-ვენგრია.** იმ არეულობის გამო, რომელიც ამას წინათ იყო ქ. გრაცში, მთავრობას შვიდმეტი სხვა და სხვა საზოგადოება სტუდენტებისა აღუკრძალავს და განკარგულება მოუხდენია, ყველა სტუდენტების საზოგადოება, რომელთაც ან სამეცნიერო და ან კაცთ-მოყვარეობითი რამ საქმე არ აქვთ მიზნათ, მოისპობაო. გამოძიება არის დანიშნული, ბევრ სტუდენტებს გამორიცხავენ უნივერსიტეტიდამაო, მაგრამ თვითონ უნივერსიტეტის დაკეტაზე კი არაფერი არ ისმისო. რამდენიმე ათი სტუდენტი და სხვები, რომელთაც ამ არეულობაში მიუღიათ მონაწილეობა, დატუსაღებულნი არიან.

# ქრონიკა [2—3]

## ისტორიისათვის დამხმარებელნი მეცნიერებანი

—

კაცი ვერ-სოდეს ვერ შეადგენს იმ ცხოველს სურათს ისტორიულის შემთხვევებისას, თუ იმან არ იცის: 1) ადგილი, საცა ისინი მომხდარან, 2) დრონი, როდესაც ისინი შეიმთხვნენ. პირველს ჩვენ ვიტყობთ ადგილის აღწერიდგან — ღეოღრაფიიდგან, მეორეს წელთ-აღწერიდგან—ქორონიკონიდგან. ამისათვის ღეოღრაფია და ქორონიკონი შეადგენენ ისტორიისათვის დამხმარებელ მეცნიერებებსა. უამათოდ ისტორია არ არსებობს.

რაც შეეხება ქორონიკონს, უნდა ვსთქვათ, რომ ხალხები თავის ცხოვრებაში მომხდარ უუდიდეს შემთხვევას რაცხვენ თავის ისტორიული ცხოვრების დამწყებ ფაქტად და აქედგან იწყებნენ თავიანთ წელთ-აღრიცხვის ქორონიკონსა. ამ სახით რომაელები თავის წელთ-აღრიცხვას იწყებენ რომის ქალაქის დაფუძნებიდგან, 754 წელს, ქრისტეს მოსვლის წინ; ბერძნები ოლიმპიის ხალხური სათამაშობეებიდგან, 777 წელს, ქრისტეს დაბადებამდე; არაბები მაჰმადის მექა ქალაქიდგან მედინა ქალაქში გაქცევიდგან, 622 წელს, ქრისტეს დაბადების შემდეგ.

ქრისტიანებისათვის იმაზე უფრო უდიდესი შემთხვევა კაცობრიობის ცხოვრებაში აბა რა იქნება როგორც დაბადება მაცხოვრისა! ამისათვის იესო ქრისტეს დაბადება ქრისტიანებისაგან არის მიღებული წელთ-აღრიცხვის დასაბამად. შემთხვევები, რომელნიც მომხდარან ქრისტეს დაბადების წინ, ვამბობთ, რომ ის ამდენს წლით წინ მოხდა, რომელნიც მერმე, ვამბობთ, რომ ქრისტეს დაბადების შემდეგ ამა და ამ წელს მოჰხდაო. მაგრამ რადგან ქვეყნის შექმნიდგან ქრისტემდი გასულა 5508 წელიწადი, ამისათვის რამდენიც ახლოვდება ქრისტემდი დაბადება, იმდენს გამოვაკლებთ წელიწადს 5508 წელს და ასრე ვსხნით, როგორც მიღებულია, ისტორიული ფაქტის მომხდარს დროს.

ქართველების ქორონიკონი იწყება 780 წლიდგან, როცა პირველად გამეფდა საქართველოში ბაგრატოვანების გვარი. ამ დრომდე კი ქორონიკონები არ მოიპოვებიან. „რამეთუ უწყება ჯერ არს, ამბობს ვახუშტი, რამეთუ ცხოვრებისა ჩვენისა ქორონიკონნი არიან იშვით; არამედ ნოედამ მირიანისამდე რაოდენნი მოიპოვებიან, უმეტეს მოწმობენ რომაულსა, ხოლო მირიანიდამ ბაგრატოვანამდე ბერძულსა, და მას ქვეითნი თამარ მეფისამდე არიან ხუთასიანნი, [illegible] ვუწოდებთ ქართულსა.“

ეს ქართული ხუთასიანი შეიცავს 532 წელს. ეს ქორონიკონი პირველად იწყობა 780 წელს, ქრისტეს შემდეგ და თავდება 1312 წელს; მეორე იწყება ამ წლიდგან და თავდება 1844 წ; 1844 წლიდგან კი მომდინარეობს მესამე ქორონიკონი და დღესაც მიმდინარეობს.

ჩვენ ისტორიის წერის დროს ვიხელმძღვანელებთ როგორც ამ ქართულის ქორონიკონებით, აგრეთვე მსწავლულების გამოკვლეულებითაც, როგორც ქრისტეს დაბადებამდე, აგრეთვე შემდეგაც.

### აზია

ისტორიკოსები ყველანი ამბობენ, რომ აზიაში დაიბადა კაცობრიობა და ის არის კაცობრიობის აკვანიო. მართლაც ის იყო პირველი ასპარეზი უდიდეს ისტორიულის შემთხვევებისა. აქედგან დაიწყო პირველად მეცნიერებამ გავრცელება მთელს დედა-მიწის სფეროზე.

აზია შეიცავს 800,000 კვადრატულ ვჯს (ანუ მილს).

ის ხუთჯერ დიდია ევროპაზე და განიყოფება მისგან დონის მდინარით, აფრიკისაგან სუეცის არხით. სხვა მხრით ის განისაზღვრება ზღვებით და აქვს მრავალი ნივთ-სადგურები და სრუტები. იმის შუაგულში ისეთი მინდვრებია, ველები, ჭალები და კორდები არიან, რომ ძალიან გამოსადეგნი მწყემსური ცხოვრებისათვის. აქ ბუნება არის შემკული ყოველისავე სიმდიდრით და შეუძლიან მისცეს კაცს ყოველი ჭირნახული, რაც კი მისთვის ცხოვრებაში საჭიროა. მრავალი აქაური უუდიდესი მდინარეები ძალიან შველიან აქ აღებ მიცემობას. აზიის დიდროვანი მდინარეები არიან: ეფრატი და ტიგრი, რომელნიც ერთვიან სპარსეთის სრუტს; ინდი და განგესი, რომელნიც

---

თავიანთ სიბრალულს ხალხისადმი, სინამ სხვა ვინმე!..

×

ამნაირად, დღეს ის, ცოტ ოდენათ მაინც, გულის შემატკივარნი ხალხისა, რომელნიც ხმა მაღლივ და ჭერქვეშ მუდამ აცხადებენ თავიანთ სიყვარულს ხალხისადმი, თავის თანაგრძნობას ხალხის უბედური მდგომარეობისადმი, როგორც ზემოთა ვსთქვით, განშორებულნია ხალხისაგან.

სად წასულან ეს პატიოსანი პირნი? ჩაიხედეთ, ჩემო ბატონო, ჩვენს ქალაქებში, შეიხედეთ პალატასა და სუდებში, სხვა და სხვა სასამართლოებსა და სამტავჯველოებში და იქა ნახავთ მათ. ღმერთმანი, საკვირველია, ასე ერთნაირად როგორ მოედო მთელ ჩვენ ხალხს ეს უმსგავსი და სამარცხვინო ორპირობა და ფარისევლობა. ბევრი მინახავს სოფლებშიაც და ქალაქებშიაც ისეთის წმინდა და პატიოსანის გრძნობით მოლაპარაკენი, რომ პირველსავე შეხვედრით მიუთვისებიათ ჩემი გული; მაგრამ როდესაც მათ საქმეებს შევხვედრივარ, სწორეთ რომ ენა ჩამვარდნია!...

ამგვარნი არიან ეგ გამოპრანჭულნი პირნიც. აბა დაუწყეთ მაგათ ლაპარაკი, თუ თავი პირველ ხალხის მზრუნველად არ გიჩვენოს! აბა წაიკითხეთ ზოგიერთა მათგანის ნაწერები! რა პატიოსანი გრძნობანია გამოხატული მათში! რა გატაცებულ სიყვარულს სამშობლოსა და ხალხისადმი შეხვდებით აქ! მათ ებრალებათ გლეხი და მის კეთილდღეობისათვის თავგანწირულნი არიან; მათ უყვართ სამშობლო და ამ სიყვარულისაგან მათ არც დღე და არც ღამე არა აქვთ მოსვენება....

ისინი, მართალია, მხიარულად დაიარებიან ყველგან, ხარობენ და ქეიფებს ეწევიან; მაგრამ ამას რა უყოთ! „ბევრჯელ მხიარულება მგლოვიარობაზედ უფრო მწარეაო“ — ამბობენ ესენი. დიახ! მართალსა ბრძანებენ!.. მაგრამ, ბატონებო, აკაკისა არ იყვეს, „გიცნობთ სადაურებიც ხართ“.... ის ას-ასი და ორას-ორასი თუმნები, რომელთაც თქვენ ყოველ წლივ აკნატუნებთ, ნუ თუ გგონიათ, რომ ენოქ და ილიასაგან ცვიოდეს ზეციდამ? სამშობლო გვიყვარს და მის საუკეთესო ნამდვილ შვილებს ცოცხლებსა ვმარხავთ სამარეში! საზიზღარია!... სიბრალული, სიყვარული და დაუძინებელი მტრობა! საიდამ სად!

×

აქედან ჰსჩანს, რომ ჩვენ არა გვაქვს არც ნამდვილი სიბრალული ხალხისა და არც ჭეშმარიტი სიყვარული სამშობლოსი! ეს რომ ასე არ იყვეს, მაშ როგორ შეიძლება, რომ ერთი და იგივე საგანი ერთსა და იმავე დროს კიდეც გვიყვარდეს და კიდეც გვეჯავრებოდეს. იესო ქრისტესი არ იყვეს, პირით სხვას ვამბობთ და გულში კი სხვა გვიდევ! სიტყვით ხალხს სიყვარულს უცხადებთ, საქმით კი მას სულს უხუთავთ! ჯანაბას ამგვარი სიყვარული! შორს ჩვენგან ხალხო, შორს! ჩვენ შენი დაუძინებელი მტერი ვართ და არა მოყვარე!

მაგრამ ნეტავი მას, და ათასჯერ ნეტარება მას, ვინც ამ ჩვეულებას დასტოვებს. ვინც ხალხს გვერდზედ მოუდგება, მისთვის იშრომებს, იბრძოლებს და მოკვდება! მას ელის მომავლის ხალხის ძეგლ-წოდება! მას ელის ცხოვრება საუკუნო. მაშ გამარჯვება თქვენ მომავლის წინამორბედნო!

პროვინციალური მთვალიერებელი

ს. არბო, აპრილის 29-ს

ერთვიან ინდოეთის ზღვაში; ოქსი და იაქსარტი, რომელნიც შეერთვიან არალის ტბას.

სამის დიდის მთის სუკებით აზია განიყოფება სამს ნაწილად: ჩრდილოეთის აზია, საშუალო აზია და სამხრეთის აზია.

მაგრამ ჩვენთვის შესანიშნავია ჩრდილოეთის აზია. ეს მხარე ძალიან ნაყოფიერია და მდიდარი ტყეებითა, და ითვლება კაცობრიობის განათლების ბუდეთ—აკვნად. ის შეიცავს მცირე აზიასაც და ამის მეზობლად მდებარებს საქართველოცა.

საქართველო სძევს ამ მცირე აზიის აღმოსავლეთის კუთხეში, და შეიცავს კასპისა და შავის ზღვის შორის სივრცესა. სიგრძე აქვს 80 ეჯ. ის არის ძალიან მშვენიერი და ნაყოფიერი. აქ ნაყოფიერებს ყოველი მარცვალი ჯეჯილისა.

საქართველოს ჩრდილოეთით საზღვრავენ კავკასიის მთები, დასავლეთით—შავი ზღვა, სამხრეთით—ოსმალეთი და სომხეთი; აღმოსავლეთით—კავკასიის მთები, რომლებიც აქ საქართველოს დაღისტნისაგან ჰყოფენ; ანუ უკეთა ვსთქვათ, ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით—კავკასიის მთები, დასავლეთით—შავი ზღვა, სამხრეთით არაქსის მდინარე, ვიდრე იმის მტკვართან შესართავამდე და უწინდელი შირვანის სახანო.

საქართველოს ამჟამად შეადგენენ შემდგომნი ნაწილები: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი.

მაგრამ საჭიროა აქვე ვსთქვათ, რომ კარგა ძალი საქართველოს მიწები ახლა ოსმალეთს უჭირავს. უწინდელს დროში მთელი სივრცე მტკვრის და ჭოროხის ხეობისა საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდა; მაგრამ ახლა ოსმალეთს უჭირავს: სამცხე, ერუშეთი, აჭარა, ლივანი, შავშეთი, ტბეთი, ქობულეთი და სხვ.

ამგვარის ღეოღრაფიის აღწერით ჩვენ ვიღებთ მხოლოდ იმ ტერრიტორიის სივრცეს, რომელს მიწა-წყალზედაც ჩვენი მამეული მატიანეების თქმულობით ქართველების მამთმთავარი ქართლოსი თავისის ექვსის ძმით დასახლდა.

ეს მიწა-წყალი საქართველოს ერთსა განიყოფება ორ უდიდეს ნაწილად. იმას გაჰყოფს სურამის მთა. ამ მთის დასავლეთის მხარეს ჰქვიან იმერეთი, აღმოსავლეთის—აპიერი ანუ ქართლ-კახეთი. დასავლეთის საქართველოში ისტორიულად შესანიშნავი მდინარეები არიან: რიონი, ყვირილა, ცხენის-წყალი და ენგური; აღმოსავლეთის საქართველოში: მტკვარი და ალაზანი. მტკვარში, რიონში და ყვირილაში უწინდელ დროში დაიარებოდნენ სავაჭრო გემები ფინიკელებისა და ბერძნებისა.

აგრეთვე შესანიშნავია საქართველოს ისტორიისათვის კავკასიის მთების ორი შემოსავალ-გასავალი გზები: ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ვ ი ს ა ანუ დარიალისა და დ ა რ უ ბ ა ნ დ ი ს გ ა ს ა ვ ა ლ ი კ ა რ ე ბ ი. ამ მთების გასავალს ადგილებზე საქართველოს მეფეებს ორივგან რკინის კარები ჰქონდათ შებმული, რომ მტერი ვერ შემოვიდეს სამეფოში. როცა ისინი მაგრად იყვნენ დაკავებულნი, მტერნი ვერ შემოდიოდნენ იბერიაში, რადგან ჩრდილოეთის მხრიდგან იმას ამის მეტი შემოსავალი ადგილი არა ჰქონდა. ამისათვის კავკასიის მთები ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრით ისრეთს ბუნებითს სიმაგრედ იყვნენ საქართველოსათვის, რომ მტერი იქ ძნელად შემოდიოდა.

დარიალის გასავალი კარები იყვნენ კავკასიის მთის სიგრძის შუა ადგილას. ეს გასავალი უფრო მარჯვე გასავალი გახდა მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს. დარუბანდის გასავალი კი იყო იმ კავკასიის მთის კალთის დასასრულში, კასპიის ზღვისა და ამ მთის შუა, საიდგანაც უწინდელ დროში ჩრდილოეთის ხალხები შემოდიოდნენ საქართველოში და გადიოდნენ.—

საქართველოს რუსები ეძახიან „გრუზია“, თათრები „გურჯისტან“, ევროპიელები „ჯეორჯია“ ბერძნები კი „გიორგი და იბერია“; თვითონ ქართველები თავის ქვეყანას უწოდებენ „საქართველოს“ და გაჰყოფენ იმას ორ ნაწილად: „ამერი“ და „იმერი“.

ინგილო ჯანაშვილი

## ნარევი

ყოველთვის ქრისტეს აღდგომის დღეს იერუსალიმში ერთი აყალ-მაყალი და ჩხუბი იმართება იქაურ მღვდლებს შუა. ყველა სარწმუნოების წარმომადგენელი მღვდლები ამტკიცებენ, რომ ქრისტეს საფლავთან პირველი ალაგი მე უნდა მეჭიროსო, უპირატესობა მე მეკუთვნისო. წელს კი, ღვთის მადლით როგორც ერთი სტამბოლელი ფრანცუზული გაზეთი გვაცნობებს, უჩხუბრათ, თანხმობით ქრისტეს საფლავზე ყველა მღვდლები მორიგებულან და არავითარი უკმაყოფილება არ მომხდარა

* * *

რომის სასამართლოს გაუთავებია გამოძიება იმ გაზეთის რედაქტორის—სონცონიოს მოკვლის თაობაზე, რომელზედაც ამას წინათ ჩვენს გაზეთშიაც იყო რამდენიმე სიტყვა. ერთს გარდა ყველა ბრალდებულები გამტყდარან, რომ ჩვენ მოვკალითო. ნამდვილი მკვლელი ამტკიცებს თურმე, მე იმიტომ მოვკალი ის კაციო, რომ დამარწმუნესო, რომ იმის მოკვლა გარიბალდის იამებაო. გამოძიებამ აღმოაჩინა პირი, რომელსაც ამ კაცის მოსაკლავად ათასი ფრანკი მიუცია ბრალდებულებისათვის.

* * *

გამოჩენილი ქიმიკოსის ლიბიხის ძეგლის დასადგმელად ზოგიერთ პირებმა რუსეთში ხელის-მოწერით მოაგროვეს სამი ათას მანეთამდი და ეს ფულები გაუგზავნიათ გერმანიაში ერთი პროფესორისთვის, რომელსაც ძეგლის ასაგებად საშუალების მოძებნა უკისრნია.

* * *

ერთს ურიის ახალგაზდა ქალს სარატოვში მართლ-მადიდებლობის სარწმუნოება მიუღია და ერთი ქრისტიანის შერთვის სურვილი გამოუცხადებია. ადგილობრივი ურიები ამ გარემოებას, როგორც იქაურს გაზეთში იწერებიან, ძალიან გაუცხარებია და ყოველ გვარ საშუალებას ხმარობენო, რომ ეს განდგომილი ქალი ისევ თავის რჯულზე დააბრუნონო. მაგრამ რუსის კანონი ამის ნებას არ აძლევს...

## სავაჭრო

△ ინტენდანტის სამმართველო კავკასიის სამხედრო მაზრისა აცხადებს, რომ ივნისის 12 ს მოზდოკის ქალაქის გამგეობაში იქნება უკანასკნელი ვაჭრობა ვოზდვიჟენსკის მაღაზიაში ცხენების საკვების იჯარით აღებაზე. უნდა მიიტანონ ქერი 3,500 ჩეტვერტი, შემდეგ ვადებზე: ამ წლის 15 ივლის—500 ჩეტვერტი, 1 აგვისტოს—1,600 და 1 სეკტემბერს—1,400 ჩეტვერტი. (თითო ჩეტვერტის წონა 5 ფუთი და 20 გირვანქა უნდა იყოს).

△ ინტენდანტის სამმართველო კავკასიის სამხედრო მაზრისა აცხადებს, რომ სტავროპოლის ხაზინაში ივნისის 5-ს იქნება ვაჭრობა იმაზე—თუ ვინ იკისრებს მაიკოპის საკვები მაღაზიისთვის 4210 ჩეტვერტი ქერის მოტანას ცხენების საკვებავათ. ეს ქერი მიიჯარადრემ შემდეგ რიცხვებში უნდა წარადგინოს: 15 ივლისისთვის—800 ჩეტვერტი, 1 აგვისტოსთვის—1700 და 15 აგვისტოსთვის დარჩენილი—1710 ჩეტვერტი.

## განცხადებანი

### თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ ვიდრე 1 საათამდი

ო რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი მინკევიჩი—ხირურგიის, პარჟნიცკი — ყმაწვილების, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფებისათვის, გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისა.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: პარჟნიცკი — ყმაწვ, ქალებისა და ვენერიული ავათმყოფობისათვის

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: პარჟნიცკი ყმაწ., ქალებისა და ვინერიული ავათმყოფობისა. მარკაროვი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: მინკევიჩი—ხირურგიისა, პარჟნიცკი—ყმაწვ., ქალებს და ვენერ. ავათმყოფ., ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მარკაროვი და ლისეცევი შინაგანი ავათმყოფობისათვის.

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 11 | 18 | 8 | | | | | |
| მცხეთა. . . | 18 | 87 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 91 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბექათუბანი | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი. . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | 10 | | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 11 | | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბექათუბანი | 3 | 27 | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 12 | 30 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 23 | 3 | 31 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 8 | 2 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით დილას.

ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—სამშაბათს, ღამით.
ოდესას—კვირას, გათენებისას.

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი . | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი. . | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესამდი. | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 3 მაისს. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^{11}/_{16}$ პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 348 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 206 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 199 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| თფილ. სააზნ. ბანკისა. | | |
| ხერსონის ბანკის ($5^1/_2$) | 88 | — |
| მოსკოვის (5%). . . . | 86 | 50 |
| ა ქ ც ი ე ბ ი: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 224 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 133 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 560 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 9 მაისს | | |
| პური შოთაგალის ფთ. | 1 | 20 |
| ქერი ფუთი. . . . | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 4 | 50 |
| —ამერიკისა, ფუთი. . | 6 | 65 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ . | 6 | 50 |
| —თარაქამისა ფთ. . | 3 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. . . | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. . . | 7 | — |
| შაქარი, კარგი ფუთი . | 8 | 45 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 90 |
| ყავა გრგვალი ფუთი . | 18 | 50 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფთ. | 5 | 60 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 5 | 85 |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Мая 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.